არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი

კოლეჯი „განთიადი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 33

11 ივნისი 2025 წელი

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს №51- ბრძანებაში-„ ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ აპლიკანტთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.“ცვლილებების და დამატებები შეტანის შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნბრძანებით დამტკიცებული„ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კოლეჯ „განთიადის“ წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების, გათვალისწინებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს №51- ბრძანებაში-„ ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ აპლიკანტთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.“ ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული დანართი- N 1-ში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N 1-ის შესაბამისად.

2.დაევალოს ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ საქმისმწარმოებელს/არქივარიუსს ნინო ყაზარაშვილს, წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4.წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში (ქ.გორი,სერგო ჯორბენაძის N30).

დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი ანა დათუაშვილი

დანართი N1

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის

2021წლის 23 აგვისტოს N 51 ბრძანებით -აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი

შესულია ცვლილება :- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის

2025 წლის 11 აპრილის N 33 ბრძანებით

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1.წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლების,მეცნიერების მინისტრის 2021წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“და არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პრაგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევით ჩარიცხვის წესსა და პირობებს.

2.ამ წესის (შემდგომში-წესი)მიზანია კოლეჯის მიერ ორგანიზებული შერჩევის შედეგების საფუძველზე, გამოავლინოს ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე შერჩევის წესით ჩარიცხვის უფლებას და პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

მუხლი2. ტერმინთა განმარტება.

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა.

1.შესარჩევი კომისია-დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანო,რომელიც უფლებამოსილია წარმართოს აპლიკანტთა(შემდგომში-აპლიკანტი) შერჩევის პროცესი და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.

2.აპლიკანტი-პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს,პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯი მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.

2. გარდა მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

3. მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.

4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში ან/და ღია კარის ჩატარების დროს

მუხლი 4. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1.პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს

ა)კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

აპლიკანტთა რეგისტრაცია

ბ) აპლიკანტთა შერჩევა

გ)ამოღებულია **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

დ) რეიტინგული სია, შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა,რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი

ე) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1.პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2.სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს.

3.აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

4.რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

5.აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში. ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

6. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 6 .აპლიკანთა შერჩევა

1.აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას, გარდა უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, სადაც ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება მხოლოდ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით
2.აპლიკანტთა შერჩევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3.აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებ(ებ)ით.
4.კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტებს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5.საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესითა და პირობებით უზრუნველყოფს აპლიკანტის შერჩევას განსხვავებულ თარიღებში.

მუხლი 7.შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება.

1.აპლიკანტები შეფასების თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით,შეფასების პროცესამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე.

2.აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.

3.აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

მუხლი 8. აპლიკანტთა შერჩევა (საბაზო/საშუალო მათ შორის ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე)

1.აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით,(საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მათ შორის ინტეგრირებულზე)რომელიც არეგულირებს:

ა)შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ)შეფასების მეთოდებს და ეტაპებს;

გ)შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას.

2.თითოერულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე (საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მათ შორის ინტეგრირებულზე) აპლიკანტთა შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე,შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის №33 ბრძანებით.)**

3.კოლეჯი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს,გონივრულ ვადაში.

4.იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი იმყოფება თვითიზოლაციაში ან/და დადასტურებული აქვს COVID ვირუსი ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ გამოცხადდება კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული შეფასების თარიღის დადგენილ ვადაში|(ასეთის არსებობა ჩაეთვლება ,საპატიო მიზეზად) წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე,კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტისათვის განსხვავებულ თარიღში შეფასების წესს და პირობებს,შერჩევის პერიოდის დასრულებამდე.

5. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.**(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის №33 ბრძანებით.)**

6.ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.**(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

მუხლი 9. აპლიკანტთა შერჩევა უმაღლეს და იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება

(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)

1.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი)მიერ

ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე,რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2.კოლეჯი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების შეფასების გარდა,კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები(აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება).რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კოლეჯის მიერ შემუშავებული ამ წესის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე,შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.**(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის №33 ბრძანებით.)**

4.იმ შემთხვევაში,თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს,რომელსაც ადგენს ცენტრის დირექტორი ან/და დაწესებულების მიერ დადგენილი დამატებითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს კოლეჯში ჩარიცხვის უფლებას.ხოლო თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენრტის მიერ ორგანიზებული ტესტირებისათვის მინიმალური კომპეტენცის ზღვარს,კოლეჯი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-1 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე.

5.ცენტრის მიერ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლეს ან/და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებულ აპლიკანტებს.

6.ტესტირების ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების მინისტრის 2021წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცებ შესახებ“

7.იმ საშუალო პროფესიულ პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.**(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

8.უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.**(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

მუხლი .9 [1] უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა (შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით. და მე-9 მუხლის შემდეგი დაემატა 9 [1] - მუხლი)

1.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ:

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში,უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

დ) თავშესაფრის მაძიებელად, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს.

2.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

4.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

5.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)

1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში .აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად ,რომელიც არეგულირებს:

ა)შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ)შეფასების მეთოდებს და ეტაპებს;

გ)შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას.

2.რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალირი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე,შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

3.კოლეჯი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს,გონივრულ ვადაში.

4. მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.

მუხლი 11. კომისიის შემადგენლობა

1.თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამათლებრივი აქტით მტკიცდება აპლიკანტთა შერჩების/შეფასების კომისია მინიმუმ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით.

2.კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ 3 წევრი.კომისის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის მიცემის უფლება.

3. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

ა)პარტნიორი/დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

გ)შესაბამისი პროგრამის პროფესიული მასწავლებელი ან/და დარგის მიმართულების სხვა მოწვეული პირები.

4.საკონკურსო კომისიის წევრების მიერ ხდება აპლიკანტთა შეფასება წინასწარ განსაზღვრული ფორმებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.

5. კომისიის წევრების შეფასებები ასახება ელექტრონულ პლატფორმაზე, შეფასებები იკრიბება და საშუალო არითმეტიკულის პრინციპით გასაუბრებაზე აპლიკანტის საშუალო ჯამური ქულა მიიღება. მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში აპლიკანტს არ მიეცემა საბოლოო შეფასების ქულა. **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11აპრილის № 33 ბრძანებით.)**

6. ზეპირი მოტივაციური გასაუბრების შემთხვევაში საკონკურსო კომისიის წევრები მუშაობენ მათთვის განკუთვნილ კომპიუტერზე, აფასებენ აპლიკანტებს და თითოეული აპლიკანტის შედეგების შეტანა,ხორციელდება გასაუბრების მიმდინარეობისას. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.**(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

7. შემოქმედებითი ტურით შერჩევის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის წევრების მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგების მიხედვით დგება კოლეჯის მიერ შიდა რანჟირების დოკუმენტი. აპლინატის მიერ მიღებული ქულები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში არსებულ აპლიკანტის პირად გვერდზე, რომელიც რეგისტრაციის პროცესში იქმნება, ასევე აპლიკანტს შეუძლია პერსონალურად მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია კოლეჯში.

8.შემოქმედებითი ტურით შერჩევის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს დამსწრე ყველა პირი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს: **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის №33 ბრძანებით.)**

ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 12.აპლიკანტთა შეფასება

1.აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენის მიზნით კოლეჯი ახორციელებს აპლიკანტების შეფასებას წინამდებარე წესის მე-11 მუხლის შესაბამისად

2.აპლიკანტების შეფასება განხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინებით, დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

3.შერჩევის ფორმა- ზეპირი მოტივაციური გასაუბრება;

3.1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული კრიტერიუმი ფასდება ქულათა სისტემით:

3.2.კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე აფასებს თითოეულ აპლიკანტს. კომისიის ყველა წევრის მიერ აპლიკანტი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 1 ქულით მინიმალური

შეფასება-0 და მაქსიმალური შეფასება-4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია ჯამური ქულის- 25%. შეფასების ჯამური მაქსიმალური ქულაა-100 ქულა; (რომელსაც აგენერირებს EMIS-ის მიერ შემუშავებილი ელექტრონული პლატფორმა.)გასაუბრებისათვის საჭირო (სავარაუდო) დრო -15 წუთი; გასაუბრების ადგილი - ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი აუდიტორიაში, ამასთან გასაუბრება შეიძლება წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში; გასაუბრება განხორციელდება ინდივიდუალურად თითოეულ აპლიკანტთან ცალ-ცალკე. **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11აპრილის № 33 ბრძანებით.)**

4.შერჩევის ფორმა- შემოქმედებით ტური

4.1.შემოქმედებითი ტურის ფარგლებში აპლიკანტები შეასრულებენ პრაქტიკულ დავალებას და გაივლიან გასაუბრებას.

4.2.შემოქმედებითი ტურის ფარგლებში აპლიკანტს მიეცემა წინასწარ შემუშავებული (გეომეტრიული ფიგურის დახაზვა/სხვადასხვა მოდელების შექმნადახაზულ ფიგურებში) პრაქტიკული დავალება. აპლიკანტის შეფასება განხორციელდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

4.3.თითოეული დავალება ფასდება,დავალების შესაბამისად დადგენილი ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმების ქულათა სისტემით მინიმალური შეფასება-1 და მაქსიმალური შეფასება- დადგენილია ინდივიდუალური დავალების შესაბამისად,ხოლო გასაუბრება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 1 ქულით მინიმალური შეფასება -0 მაქსიმალური შეფასება-4; საერთო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია ჯამური ქულის 24% გამსვლელი ქულა განისაზღვრება 25%, შეფასების ჯამური მაქსიმალური ქულაა - 100 ქულა); შესაფასებელი დავალების შესრულებისათვის საჭირო დრო -45 წუთი; შესრულების ადგილი - ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი აუდიტორია,სადაც ხდება დავალების შესრულება.

5.შემოქმედებითი ტურით განხორციელდება ხელოვნების მიმართულების პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შეფასება

მუხლი 13. რეიტინგული სიის შედგენა, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. კოლეჯში აპლიკანტების ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2.ამოღებულია **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11აპრილის №33 ბრძანებით.)**

3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება

4. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

5.ამოღებულია **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

5.1.ინტეგრირებულ პროგრამაზე რეიტინგული სია დგება მხოლოდ იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

5.2.ამოღებულია (შესულია ცვლილება 2025 წლის 11აპრილის № 33 ბრძანებით.)

5.3.უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:

ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

6.რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.

6. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

7. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

8. თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

9. აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯში ჩასარიცხად წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა)აპლიკანტის წერილობითი განცხადება,

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ;

გ) საბაზო /საშუალო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის(დიპლომის) ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან/და იმ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომელიც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;

დ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის -დედანი ან ასლი და ერთ-ერთი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის პირადონის მოწმობის ასლი ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი.

10. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, კოლეჯში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, აპლიკანტი/მშობელი/კანონიერი წარმოადგენელი ობიექტური მიზეზების გამო (ფორსმაჟორული სიტუაცია) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარდგენას,ასეთ დროს დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული სახით კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: Gantiagi.Gantiagi ge გამოგზავნით.

11. კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტების ჩარიცხვას პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტუნგულ სიაში აპლიკანტების რიგითობის გათვალისწინებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნებისა და წინამდებარე წესის მე-13 მუხლის გათვალისწინებით. ხოლო ამ მუხლი დადგენილი წესის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში აპლიკანტი კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას და მის ადგილს დაიკავებს რეიტინგულ სიაში რიგით შემდეგი აპლიკანტი.

12. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული რეიტინგული სიის შესაბამისად, აპლიკანტების მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე, წინამდებარე წესის მე-13 მუხლის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭებას კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და აფორმებს მასთან ხელშეკრულებას.

13. კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას სსიპ- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 14. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

1. აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით კოლეჯი ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

2. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა.

3. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კოლეჯი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.

4. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5.პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების ფორმირება, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

6.თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

მუხლი 15. სსმპ შერჩევა და ჩარიცხვა

1. თითოეული პროგრამის ფარგლებში, სსსმ პირებისათვის განსაზღვრულია კვოტა - გამოცხადებული ადგილების 15%. -ის ფარგლებში

2. ამოღებულია. **(შესულია ცვლილება 2025 წლის 11 აპრილის № 33 ბრძანებით.)**

3. სსსმ პირების პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ალტერნატიული გზით პროფესიული მოსინჯვის საშუალებით ,რაც გულისხმობს აპლიკანტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პირობებში, მის მიერ დარეგისტრირებული პროფესიული პროგრამების პრაქტიკულ მოსინჯვას.

4. სსსმ აპლიკანტს შესაძლებლობა ეძლევა პრაქტიკულად მოსინჯოს მის მიერ შერჩეულ და დარეგისტრირებულ პროგრამასთან/ებთან დაკავშირებული რამდენიმე აქტივობა და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსიის შედეგად, გააკეთოს მისთვის საუკეთესო არჩევანი.
5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც:
ა) პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს;
ბ)არ არის ჩართული განათლების სხვა საფეხურზე(მაგ: არ არის სკოლის მოსწავლე)
გ) წარმოადგენს რომელიმე მოწყვლადი ჯგუფს (მაგ.საჭიროების შემთხვევაში უპირატესობით ისარგებლებენ, რიგითობის მიხედვით შემდეგი მოწყვლადი ჯგუფები :

1. სახელმწიფო ზრუნვიდან გასული;
2. მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებიდან;
3. მინდობით აღზრდაში მყოფი;
4. სოციალურად დაუცველი ოჯახიდან;
5. მრავალშვილიანი ოჯახიდან
6. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირი

დ) წინა წელს ან წინა წლებში ვერ მოიპოვა პროფესიული სტუდენტის სტატუსი (ამავე დაწესებულებაში),იმ მიზეზით, რომ ვერ ჩაირიცხა პროგრამაზე სსსმ პირებისათვის განსაზღვრულია კვოტის ფარგლებში.

ე)რეგისტრაციის დრო(თარიღი,საათი,წუთი,წამი.)(საჭიროების შემთხვევაში,რეგისტრაციის დრო, თუ არის მაღალი კონკურსი მაშინ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ"ქვეპუნქტის მიხედვით კოლეჯი იხელმძღვანელებს აღნიშნული კრიტერიუმებით.)

მუხლი 16. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების წესი და პირობები

1.იმ შემთხვევაში,თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე,მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე,რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს მტკიცებულებას.
2.განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.
3.განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის განმავლობაში. გასაუბრების შერჩევის პროცესის დასრულებამდე

მუხლი 17.კოლეჯის მიერ ორგანიზებული აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1.აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით (ტექნიკური ხასიათის)პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

1.1.კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

ა)პარტნიორი/დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

დ) დაწესებულების გარედან მოწვეული სხვა პირები.
2. შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სააპელაციო კომისიას არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
3.სააპელაციო კომისიის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის თავჯდომარეს და კომისიის სხდომის მდივანს.
4. სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში წარდგენილი განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.
5. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს კომისიის ის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის შერჩევაში.
6. სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.
7. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ორი სახის გადაწყვეტილებას:
ა) აპლიკანტის პრეტენზიებს დააკმაყოფილებს საქმეზე იღებს ახალ გადაწყვეტილებას,გამოვლენილი ხარვეზები აისახება სხდომის ოქმში;
ბ) აპლიკანტის პრეტენზიებს არ დააკმაყოფილებს და ტოვენს შერჩევის კომისიის (პირვანდელ) გადაწყვეტილებას ძალაში,რომელიც აისახება სხდომის ოქმში
8.სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათათანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერეს კომისიის ყველა წევრი. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

მუხლი 18.დასკვნითი დებულება

1. ის რაც წინამდებარე წესით არ არის გაწერილი ,რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული„ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

2.წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.